

მარინა მუსხელიშვილი

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: Marina.muskhelishvili@tsu.ge

დემოკრატიის უკუსვლა და სოციალური ქსელები

აბსტრაქტი

2000–იანი წლებიდან მთელ რიგ ქვეყნებში ადგილი აქვს დემოკრატიის ეროზიას, რომელიც რიგ შემთხვევებში დემოკრატიის ნგრევითაც კი სრულდება. ეროზიის ამ პროცესს ახასიათებს შემდეგი ევოლუციური დინამიკა: პოლიტიკური პოლარიზების გამწვავება; მმართველის მიერ საკუთარ პოლიტიკურ პარტიასა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებზე (განსაკუთრებით პარლამენტზე) კონტროლის განვრცობა; საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ასუსტებენ (ზოგ შემთხვევაში სპობენ) ლიბერალური დემოკრატიის სამართლებრივ და საკონსტიტუციო საფუძვლებს (Haggard & Kaufman, 2021). დემოკრატიის ეს უკუსვლა, რომელსაც ზოგჯერ „ავტოკრატიის მესამე ტალღას“ უწოდებენ, დღესდღეობით არამც თუ სუსტდება, არამედ ძლიერდება კიდევ (V-Dem, 2025).

უკუსვლის პროცესი მიმდინარეობს როგორც ელექტორალური დემოკრატიის ქვეყნებში, ასევე უკვე დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ ლიბერალურ კონსტიტუციურ დემოკრატიებში (მაგალითად, აშშ) (V-Dem, 2025). თუმცა, წინა პერიოდში ქვეყნების ამ ორ ჯგუფში ტრენდები იყო საპირისპირო. მაშინ, როდესაც დემოკრატიზაციის მესამე ტალღის ქვეყნები ზეიმობდნენ მიღწეულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ლიბერალურ დემოკრატიებში საგანგაშო ცვლილებებს განიცდიდნენ. მეცნიერებმა, სოციოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, დემოკრატიის ლეგიტიმაციის კრიზისზე დაიწყეს ლაპარაკი: გაღრმავდა მოქალაქეთა უნდობლობა და უკმაყოფილება მთავრობების მუშაობით, დასუსტდა პარტიები და დაეცა არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის დონე (Dalton, 2004, Van Ham, 2017). ეს ცვლილებები თავიდან არ იყო ფართოდ აღქმული როგორც სისტემური უკუსვლა, და ჯერ კიდევ 2008 წელს პიერ როზენვალონის აზრით სახეზე იყო დემოკრატიის ხასიათის ტრანსფორმაცია, და არა მისი დასუსტება. იმ ახალ რეალობას, რომელიც

ჩამოყალიბდა ელიტების მიმართ მოსახლეობის მასობრივი უნდობლობის ფონზე, ის კონტრ–დემოკრატის უწოდებდა (Rosanvallon, 2008) . მოგვიანებით, როგორც სამეცნიერო კვლევებში, ასევე საჯარო დისკურსში საგანგაშო ტენდენციები დაუკავშირდა პოპულიზმის ცნებას. დამკვიდრებულ დემოკრატიებში ცალკეული პოპულისტი ლიდერების/პარტიების საარჩევნო წარმატებების ფონზე, გაჩნდა დებატები იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა პოპულიზმი საფრთხეს ლიბერალური დემოკრატიისთვის: შეიძლება თუ არა ულტრამემარჯვენე პარტიებმა ხელისუფლების მოპოვების შემთხვევაში აღარ დათმონ ის არჩევნების გზით (Weyland, 2024).

ვინაიდან დემოკრატიის უკუსვლის ტენდენცია გლობალურ ხასიათს ატარებს და მოიცავს როგორც ლიბერალურ, ასევე არჩევით დემოკრატიებს, მისი გამომწვევი ფაქტორების ნაწილი უნდა იყოს ყველა ქვეყნისთვის საერთო და უფრო ზოგადი, ვიდრე ცალკეული ქვეყნის ისტორიული გამოცდილება და კონტექსტუალური სპეციფიკა. ამ ფაქტორებს შორის შეიძლება მოვიაზროთ სხვადასხვა რიგის, თუმცა ურთიერთდაკავშირებული პროცესები, როგორებიცაა საბაზრო ეკონომიკის გლობალური ექსპანსიის გავლენა ან ინფორმაციული რევოლუცია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური კომუნიკაციის ახალი სტრუქტურა, მათ შორის სოციალური ქსელები.

დემოკრატიის უკუსვლის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი არსებითია იმისთვის, რომ გავიაზროთ პროცესების შესაძლო მომავალი დინამიკა. აქვს თუ არა დემოკრატიის ექსპანსიას მსოფლიოში ტალღური ხასიათი, როგორც ამას ჰანტინგტონი აღწერდა, როდესაც დემოკრატიების რიცხვის ერთდროულ ზრდას შემდგომ უკუპროცესი და ავტორიტარული რეაქცია მოჰყვება (Huntington, 1991)? თუკი ეს ასეა, დემოკრატიის უკანდახევა შესაძლოა იყოს დროებითი და გარდამავალი, კრიზისს ადრე თუ გვიან ჩაანაცვლებს ახალი აღმავლობა, დემოკრატიზაციის მორიგი ტალღა. ან, შესაძლებელია, საქმე გვაქვს თვისებრივად ახალ მოვლენასთან, ისეთი ახალი ინსტიტუციური რეალობის წარმოქმნასთან, რომელიც დემოკრატის სხვანაირ ხასიათს შესძენს მომავალში, მით უფრო, რომ დემოკრატიის საფუძვლები რყევას განიცდის მსოფლიოს ყველაზე ძველ და მყარ დემოკრატიაში – აშშ–ში. თუკი ცვლილებები შეუქცევადია, რეაგირება მოითხოვს ინოვაციას, და არა არსებულის შენარჩუნების მცდელობას.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიის უკუსვლა, სოციალური ქსელები, პოლარიზება, პოპულიზმი, ინფორმაციული რევოლუცია

დემოკრატიის უკუსვლის სოციო-ეკონომიკური კონტექსტი

პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიული ფუნქციონირების უკუსვლაზე შეიძლება ზემოქმედებდეს ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული სოციო-ეკონომიკურ პროცესი. პირველი არის ნეოლიბერალური გლობალიზაცია, ანუ ტრადიციული კაპიტალიზმის ექსპანსია, ხოლო მეორეა ინდუსტრიული ეკონომიკის ჩანაცვლება პოსტინდუსტრიული ინფორმაციული ეკონომიკით. ერთსაც და მეორესაც გავლენა აქვს პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე და ხასიათზე, მაგრამ განსხვავებული შედეგებითა და პერსპექტივებით.

ისტორიულად ეს ორი პროცესი პრაქტიკულად ერთდროულად წარიმართა. წინა საუკუნის ბოლო მეოსამედში პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები წარმოადგენდა ლიბერალური იდეების აღზევების, ციფრული და კომუნიკაციური ტექნოლოგიური რევოლუციის, დემოკრატიზაციის გლობალური ტალღის, ემანსიპატორული სოციალური მოძრაობების, ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის ლიბერალიზებისა და სხვა სოციოეკონომიკური ცვლილებების ნაზავს. ამ პერიოდში თვითრეგულირებადი ბაზრების იდეამ და პრაქტიკამ მსოფლიო მოიცვა.

თვითრეგულირებადი ბაზრების იდეისდომინირების უფრო ადრეული ტალღა, მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, კარლ პოლანიმ აღწერა 1944 წელს დაწერილ განთქმულ ნაშრომში „დიდი ტრანსფორმაცია“. პოლანის მიხედვით, ბაზრების თვითრეგულირება იწვევს მიწის, ფულისა და შრომის ე.წ. „კომოდიფიკაციას“, სასაქონლო ბრუნვაში ჩართვას. ეს კი, თავის მხრივ, არღვევს სოციალურ ქსოვილს, მოაქვს ათასნაირი გასაჭირი ადამიანებისთვის და ბადებს კონტრმოძრაობებს. მათ შორის, ჩნდება კონტრმოძრაობის უკიდურესი ფორმები, დემოკრატიის ანტიპოდების – კომუნიზმისა და ფაშიზმის სახით. საბაზრო ფუნდამენტალიზმი ხდება ის მიზეზი, ის ტრიგერი, რომელმაც გამოიწვია მეოცე საუკუნის კატასტროფები ომების სახით, და პოლანის სჯეროდა, რომ კაცობრიობამ საკუთარ შეცდომებზე ისწავლა ზომიერება და აღარასდროს მიუშვებდა ბაზრების დერეგულირებას უკიდურეს დონემდე (Polanyi, 2001).

თუმცა, ისტორიამ მარკეტიზაციის ახალი ტალღა აღაზვეა (ბურავოის ტერმინოლოგიით – მარკეტიზაციის მესამე ტალღა, Burawoy, 2020). პოლანის გათანამედროვეებული წაკითხვით, ნეოლიბერალურმა გლობალიზაციამ კვლავ მოახდინა საბაზრო ეკონომიკის მოწყვეტა საზოგადოებებისგან. შრომის, მიწისა და ფულის კომოდიფიკაციას დაემატა ბუნებისა და ცოდნის კომოდიფიკაცია: „მესამე ტალღის

მარკეტიზაციამ გამოიწვია ფულის კომოდიფიკაციის გარდავება და გაფართოება ფინანსური კაპიტალის განვითარებაში, შრომის - პრეკარიატის განვითარებაში, ბუნების (მიწა, ჰაერი, წყალი) - მოახლოებულ ეკოლოგიურ კატასტროფაში და ცოდნის - სათვალთვალ კაპიტალიზმის სახით“ (Burawoy, 2021). შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ისევე როგორც მეოცე საუკუნეში ამან წარმოშვა უკურეაქცია სახელმწიფო რეგულირების სახით, დღესაც დემოკრატიის უკუსვლის ნაწილი მაინც კონტრ-ლიბერალური სახელმწიფო რეგულირებით შეიძლება აიხსნას. ამის მაგალითებია ტრამპისეული ავტარკიული ეკონომიკური პოლიტიკა, საბაჟო ტარიფებით, ძველმოდური პროტექციონიზმით და ამერიკის წარსული დიდების ნოსტალგიით, და პუტინისეული ლტოლვა „სუვერენული დემოკრატიისადმი“, სადაც ავტორიტარული რეჟიმი დგას არა იმდენად ტოტალურ ძალადობაზე, რამდენადაც ინფორმაციის ისეთ მართვაზე, შეზღუდული და ცენზურირებული მედიის პირობებში, როდესაც სიცრუის უსასრულო ნაკადი სპობს ცოდნის შესაძლებლობას და აგდებს მოსახლეობას ნიჰილიზმში და უიმედობაში (Applebaum, 2024). პროცესებისადმი პოლანისეული ხედვის მიყენებით, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სახეზეა გარკვეული ტალღურობა, საბაზრო ფუნდამენტალიზმის მორიგი ჩანაცვლება ანტი-ლიბერალიზმით, მისი სხვადასხვა ფორმით, რასაც, ადრე თუ გვიან, შესაძლოა მოჰყვეს ამ ორი მოძრაობის დაპირისპირების ჩაცხრობა და დემოკრატიისა და კაპიტალიზმის თავსებადობის კვლავ აღდგენა.

თუმცა, თუკი მიმდინარე პროცესების მატერიალურ, ტექნოლოგიურ ასპექტს დავაკვირდებით, შესაძლოა დავინახოთ შეუქცევადი ცვლილებები, რომლებიც სულ სხვა პერსპექტივებს სახავენ.

მარქსისეული პარადიგმით, ბაზისის (წარმოების საშუალებები დამატეგან მომდინარე წარმოების წესი) ცვლილება იწვევს ზედნაშენის, (საზოგადოების ღირებულებების, კულტურისა და პოლიტიკური სისტემის) გარდაქმნას, რაც საბოლოო ჯამში სრულდება სოციალური ფორმაციის ცვლით. ისევე, როგორც თავის დროზე ორთქლის მანქანის გამოგონებამ შეცვალა მსოფლიო, დღესდღეობით ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა საზოგადოებებს ახალი მიმართულებით უბიძგებს. არის თუ არა ეს ახალი მიმართულება ჩვეული კაპიტალიზმის მომდევნო ფაზა, თუ ფორმაციის გარდაქმნის ახალი ეტაპი, რომელიც როგორც კაპიტალიზმს, ასევე დემოკრატიას, სხვა, ჯერ კიდევ არარსებული ინსტიტუციური მოწყობით შეცვლის??

ინდუსტრიული წარმოებიდან ინფორმაციულ ეკონომიკაზე გადასვლას აქვს რამდენიმე ასპექტი, რომელიც ქმნის გამოწვევებს დემოკრატიისთვის. ესენია: *სახელმწიფოს დასუსტება გლობალური*

ეკონომიკური სისტემის წარმოქმნით; ახალი ტიპის ეკონომიკის – ტექნოფეოდალიზმის ფორმირება; სოციოპოლიტიკური კომუნიკაციური სტრუქტურის ტრანსფორმაცია.

წინა საუკუნის 70–იანი წლებიდან ახალმა ტექნოლოგიებმა შეასუსტეს ბაზრის რეგულირების სახელმწიფოს უნარები. მათ შესაძლებელი გახადეს ფინანსური კაპიტალის და წარმოების გატანა ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა, ეკონომიკებს მიანიჭეს გლობალური და არა ეროვნული ხასიათი. ამან შეცვალა ძალთა ბალანსი დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის სახელმწიფოს შიგნით და უარყოფითად იმოქმედა მთავრობების უნარზე ეფექტურად დაეცვათ საზოგადოებები მზარდი ეკონომიკური უთანასწორობისგან. დასუსტებული სახელმწიფო, რომელიც სათანადოდ ვეღარ პასუხობს მოქალაქეთა სოციოეკონომიკურ მოთხოვნებს, კარგავს მოქალაქეთა ნდობას, რაც დემოკრატის, როგორც ამ სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ლეგიტიმაციის პრობლემას წარმოშობს (Przeworski, 2024).

ტრადიციული კაპიტალიზმის გაძლიერებისა და ეკონომიკური უთანასწორობების გაღრმავების პარალელურად გაჩნდა სხვა, თვისებრივად ახალი ეკონომიკური ვითარება. ის უკავშირდება ცოდნისა და ინფორმაციის ეკონომიკური როლის ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია, მატერიალური რესურსებიგან განსხვავებით, არ ექვემდებარება გაცვლას. მისი მონაწილეობა სოციალურ ცხოვრებაში ხდება არა გაცვლით, არამედ გაზიარებით. ამდენად, მასზე დაფუძნებული წარმოება ძნელად ესადაგება ტრადიციულ ეკონომიკურ ლოგიკას. ეკონომიკური მოგება, რომელიც მოაქვს ცოდნას (ღირებულ ინფორმაციას) არის რენტა/როიალტი და არა დამატებული ღირებულება. ცოდნის კაპიტალიზაციასთან დაკავშირებული უთანასწორობები უფრო მძაფრია და რადიკალური, ვინაიდან ისინი ვერ გადაიჭრება უბრალო გადანაწილების გზით. ამას მოყვება პოლიტიკური შედეგები – ინფორმაციული რევოლუციის შედეგად პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში პოლიტიკური სპექტრის საპირისპირო ბოლოებს დიდწილად პარტიების მხარდაჭერთა განათლების დონე განაპირობებს (Hooghe & Marks, 2025).

ამასთან, ჩნდება ახალი ტიპის კაპიტალი – ე.წ. ღრუბლის კაპიტალი, დიდი ინფორმაციული მასივები, რომლებსაც ფლობენ ახალი ტექნოლოგიური გიგანტები, როგორებიცაა Amazon, Facebook, Twitter (X) და სხვა. ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც ნახულობენ ეს ორგანიზაციები, წარმოადგენს რენტას ამ ახალი ტიპის კაპიტალზე. კაპიტალი იქმნება არაანაზღაურებადი „შრომით“ – ასე, თითოეული ფეისბუქ მომხმარებლის პოსტი, ლაიკი, კომენტარი და სხვა წარმოადგენს ნებაყოფლობით შენატანს ინფორმაციის ამ მასივში, რაზედაც საბოლოო

ჯამში დგას ფეისბუქის შემოსავლები. ამდენად, ინფორმაციული რესურსების მომხმარებლები, იანის ვარუფაკისის მიხედვით, არიან უხელფასო ყმები, რომელთა „შრომა“ ქმნის ე.წ. ტექნოფეოდალების სიმდიდრეს. ინდუსტრიული წარმოება კვლავ არსებობს (როგორც არსებობს სოფლის მეურნეობა ინდუსტრიულ კაპიტალიზმში), მაგრამ დაქვემდებარებულ, ვასალურ დამოკიდებულებაში ტექნოფეოდალებთან, ის ვეღარ გაყიდის თავის ნაწარმს იმ ფსევდოსაბაზრო ურთიერთობებში ჩართვის გარეშე, რომლებსაც ქმნის ახალი კაპიტალი (Varoufakis, 2024). გამდიდრება, რომელიც პრაქტიკულად აღარ უკავშირდება სამუშაო ადგილების შექმნას, უთანასწორობის ზრდის აქამდე არნახული წყარო შეიძლება გახდეს.

ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, სოციალური მედია ქმნის დროისა და სივრცის სრულიად ახალ კონსტელაციას, ქსელურ სტრუქტურას; ეს გარდაქმნა თავისთავად პოლიტიკური ძვრების მომტანია, ვინაიდან ის წარმოშობს ძალაუფლების ახალ კონფიგურაციას. *„კომუნიკაცია კონსტრუირებს მნიშვნელობას ინფორმაციის გაცვლის გზით. ამრიგად, ინფორმაციაზე და კომუნიკაციაზე ორიენტირებული ტექნოლოგიური რევოლუცია აუცილებლად ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანურ სრულ გამოცდილებაზე, საზოგადოების ყველა მრავალფეროვან კულტურებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთქმედებაში“* (Castells, 2024, გვ.9). სოციუმში ძალაუფლების კონფიგურაციის ტრანსფორმაციას არ შეიძლება არ მოყვეს ცვლილებები პოლიტიკურ მოწყობაში. ჯონ კინის მიხედვით, დემოკრატიის ყველა ისტორიული ეპოქა უკავშირდებოდა მისთვის დამახასიათებელ კომუნიკაციის ტიპს (ზეპირი, წერიტი, ტელევიზია, ინტერნეტი). კომუნიკაციური სიუხვის დღევანდებლობაში დემოკრატია კვლავ ტრანსფორმირდება და იძენს „მონიტორინგული დემოკრატიის“ ხასიათს (Keane, 2013).

მოცემული სტატია პირველ რიგში ახალი ტექნოლოგიებით შექმნილ ერთ სიახლეს აკვირდება – პოლიტიკური კომუნიკაციის მედიატიზაციას სოციალური ქსელების მეშვეობით. კვლევის ვარაუდია, რომ სწორედ ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია წარმოადგენს იმ რეალობას, რომელიც ზემოქმედებს პოლიტიკური სისტემების რაობაზე და ქმნის გამოწვევებს დემოკრატიისთვის. კვლევის საგანია უხილავი ძალაუფლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მომდინარეობს კომუნიკაციის მოწყობიდან, და არა მისი შინაარსიდან. თუმცა ცხადია, რომ სოციალური ქსელები ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის მხოლოდ ერთი ელემენტია, ამდენად სურათი სრული ვერ იქნება.

კომუნიკაციის ახალი სტრუქტურა; ტელევიზია და სოციალური ქსელები

კომუნიკაციის სტრუქტურის, და არა მისი შინაარსის კვლევა ეხმიანება მარშალ მაკლუენის განთქმულ მიგნებას: მედიუმი არის მესიჯი (შეტყობინება). მაკლუენის მიხედვით, მედიუმი, რომელიც გამოიყენება შეტყობინების გადასაგზავნად, თავად შესაძლოა მეტ გავლენას ახდენს მიმღებზე და საზოგადოებაზე ზოგადად, ვიდრე შეტყობინების შინაარსი (McLuhan, 1964). მედიუმების ტრანსფორმაციისას (ზეპირი, წერილობითი, რადიო, ტელევიზია) ახალი მედიის შინაარსს წინა მედია წარმოადგენს, ხოლო მსოფლიო ხდება ურთიერთდაკავშირებული სოფელი, სადაც ყველა ყველას იცნობს და პრე-ისტორიულ თემში არსებობს. სოციალური ქსელი სწორედ ახალ მედიუმს წარმოადგენს, რომელიც არსობრივ, და არა მხოლოდ ფორმალურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, და რაც აქ პირველ რიგში გვანტერესებს, დემოკრატიაზე.

ამერიკული დემოკრატიის ტოკვილისეული კლასიკური კვლევის მიხედვით (1835-40 წწ.), დემოკრატიაში უმრავლესობა ფლობს ძალაუფლებას არა მარტო არჩევნებით, არამედ იმითაც, რომ ის აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. ამ აზრს, თავის მხრივ, უნდა ემორჩილებოდნენ მმართველები. სანამ საერთო აზრი ჩამოყალიბდა, ამერიკელები კამათობენ და თანამონაწილეობენ მის ფორმირებაში, მაგრამ როგორც კი საზოგადოება ერთ გადაწყვეტილებაზე შეთანხმდა, ოპოზიციური ხმები წყდება. ამერიკელებს სჯერათ, რომ ბევრი ადამიანი მსჯელობის შედეგად უფრო სწორ აზრს გამოიტანს, ვიდრე ერთ ადამიანს შეუძლია (Tocqueville, 2000). თავისუფალ დებატებში შექმნილი საზოგადოებრივი აზრი, ამდენად, ხალხის ნების მნიშვნელობას იძენს.

საჯარო სივრცემ, სადაც ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სტრუქტურული ტრანსფორმაცია განიცადა (Habermas, 1991). ჰაბერმასმა ეჭვქვეშ დააყენა საზოგადოებრივი აზრის მიერ ლეგიტიმიზირებული მმართველობის დემოკრატიულობა იმ გავლენების გამო, რომლებსაც განიცდის საზოგადოებრივი აზრი ამგვარ სივრცეში: „საჯარო სივრცე, სტრუქტურირებული და იმავდროულად დომინირებული მასმედიის მიერ, ჩამოყალიბდა ძალაუფლებით გაჟღენთილ ისეთ ველად, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს თემების შერჩევითა და თემების წინ წამოწევით, არა მხოლოდ გავლენისთვის, არამედ კომუნიკაციის ნაკადების კონტროლისთვისაც, რომლებიც ზემოქმედებენ ქვევაზე, მაშინ როცა მათი სტრატეგიული განზრახვები მაქსიმალურად იმალება“ (Habermas, 1992, გვ.437).

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ამ ძალაუფლებრივი ზემოქმედების გამო ამავე პერიოდში შუმპეტერს შემოაქვს

დემოკრატიის ისეთი კონცეფცია, რომელიც აღარ ეყრდნობა ერთიანი საზოგადოებრივი აზრის (ხალხის ნების) მმართველობას. დემოკრატია ამ ახალი ინტერპრეტაციით განისაზღვრება მხოლოდ პროცედურად – ისეთ მმართველობად, რომელსაც ახორციელებენ ელიტები, თანამდებობების დასაკავებლად ამომრჩეველთა ხმებისთვის კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვებით (Schumpeter, 2003). საზოგადოებრივი აზრი, ამ კონცეფციით, უკანა პლანზე გადავიდა, თუმცა უმრავლესობის პრინციპი მაინც ნარჩუნდებოდა, როგორც ნორმატიულ, ასევე ემპირიულ დონეზე (დუმილის სპირალი, Noelle-Neumann, 1984).

მას მერე მოხდა კომუნიკაციური სტრუქტურის კიდევ ერთი რადიკალური გარდაქმნა, გაჩნდა ინტერნეტი და სოციალური ქსელები. ამ სივრცეში დღესდღეობით ჩანს არა ერთიანი საზოგადოებრივი აზრი (ტოკვილისეული ლეგიტიმური მბრძანებელი), არამედ პოლარიზებული აზრების მრავალფეროვნება. პოლარიზება, რომელსაც ჰაგარტი და კაუფმანი დემოკრატიის უკუსვლის საწყისად განიხილავენ, ნიშნავს საზოგადოებრივი აზრის რადიკალურ გახლეჩვას. შეიძლება თუ არა დავადანაშაულოთ ტელევიზია, ინტერნეტი და სოციალური ქსელები იმაში, რომ ისინი ამგვარ გახლეჩვას ხელს უწყობენ – უბრალოდ იმით, რომ არსებობენ?

იმისთვის, რომ რომელიმე საკითხზე ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, ის უნდა მოექცეს საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ვინაიდან ყურადღების ცენტრში ერთდროულად ბევრი საკითხი ვერ იქნება, საზოგადოებრივი აზრისთვის ბრძოლის უდიდესი წილი მოდის დღის წესრიგის ფორმირებაზე – არა იმაზე, თუ რა უნდა იფიქრონ მოქალაქეებმა, არამედ იმაზე, თუ რაზე უნდა იფიქრონ მათ. საჯარო პოლიტიკის მთავარი საკითხია არა ის, თუ რა პოზიცია უკავია მოქალაქეებს, არამედ ის, თუ რას მიენიჭება “პოლიტიკურის” სტატუსი, რა გადავა კერძო სფეროდან პოლიტიკური დისკურსის ველში. ხელისუფლებას აქვს უდიდესი გავლენა დღის წესრიგის ფორმირებაზე, ვინაიდან მისი გადაწყვეტილებები ყველას ეხება; საზოგადოება მიმართავს ხმაურიან და მრავალრიცხოვან აქციებს ყურადღების მისაქცევად; მაგრამ ერთიც და მეორეც მოითხოვს ტელევიზიას, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ საზოგადოების დღის წესრიგის ფორმირებაა (McCombs, 2014).

მედიის მზარდი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, აქტორებზე და ინსტიტუტებზე, რომელსაც განაპირობებს თავად მედიის ფუნქციონირების სტილი, ლოგიკა და სტრუქტურა ცნობილია მედიატიზაციის სახელით. ამ პროცესში ხდება მედია სფეროსა და პოლიტიკის შერწყმა, პოლიტიკის გატანა პოლიტიკური ინსტიტუტების

მიღმა და მისი ხასიათის ცვლილება. „მედიატიზაციამ თანდათანობით მოშალა დემოკრატიული პოლიტიკის ტრადიციული საზღვრები და შეცვალა პოლიტიკური მედიაციის წესები. მან არსებითად გარდაქმნა პოლიტიკური წარმომადგენლობა, ლიბერალური დემოკრატიის სტანდარტული პოლიტიკური სტრუქტურების მიღმა პოლიტიკის მუდმივი ჩვენებით“ (Waisbord, 2019, გვ. 227).

ორმოცდაათი წლის წინ, ტელევიზიით შექმნილი საჯაროობა, ჰაბერმასის აზრით, უკვე მხოლოდ მოჩვენებითად იყო საჯარო სივრცე. ამ დროისთვის მოიშალა ის ჰორიზონტალური კომუნიკაციური სტრუქტურა, რომელიც აერთიანებდა ადრე არსებულ ბურჟუაზიულ საჯარო სივრცეს და ანიჭებდა მას რაციონალური საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უნარს. ამ ვითარებაში მოქალაქეები მოიხმარდნენ მედიის მიერ წარმოებულ საზოგადოებრივ აზრს/აზრებს, ნაცვლად იმისა რომ თავად შეექმნათ ის, უშუალო კომუნიკაციაში.

ტელევიზიის ორიენტაციამ რეიტინგებზე და მაყურებელთა მოზიდვაზე პოლიტიკას მიაჩნია სანახაობრივი, სკანდალური ხასიათი, გამოაცალა შინაარსი და აქცენტი გადაიტანა პერსონალიებზე. ტელევიზიით გადმოცემული პოლიტიკა ბადებს ემოციური აკლამაციის, და არა რაციონალური განსჯის ატმოსფეროს, ის აქცევს პარლამენტებს სანახაობად, პოლიტიკოსებს შოუმენებად.

თავიდან ტელევიზიის ეპოქა წააგავდა სიმპსონების სერიალის საწყის კადრებს – სახლის ცენტრალურ ოთახში დივანის წინ იდგა ტელევიზორი, რომლითაც ოჯახის ყველა წევრი უყურებდა მათთვის საინტერესო გადაცემებს. დილას ფოსტას მოჰქონდა გაზეთი, ხოლო საღამოს ყველა სახლში ერთსა და იმავე დროს იწყებოდა სატელევიზიო ახალი ამბები, მსგავსი დღის წესრიგით და ინფორმაციით რამდენიმე არხზე, ასე რომ ყველა მოქალაქე იმყოფებოდა ერთნაირი ინფორმაციის, დღის წესრიგისა და ინტერპრეტაციათა არეალში. ამგვარი მოწყობა ამცირებდა პოლარიზებას და ხელს უწყობდა ცენტრისტული პოლიტიკური პარტიების გაძლიერებას (McCarty, 2019).

საკაბელო, სატელიტური კერძო ტელევიზიების გამრავალფეროვნებამ, გაჯეტების (იაფი ტელევიზორები, შემდგომ კომპიუტერები და სმარტფონები) გავრცელებამ და ინტერნეტის გაჩენამ მოახდინა ინფორმაციის ზრდა, გამრავალფეროვნება, მისი მოხმარების რადიკალური დივერსიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია (Keane, 2013). გახდა შესაძლებელი რომ ინდივიდს თავად გადაეწყვიტა თუ რას, როდის, რომელ მედიაზე ნახავდა. კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და პერსონიფიცირებული გახდა ინფორმაცია მას მერე, რაც გაჩნდა სოციალური ქსელები, სადაც ინდივიდი თავად ირჩევს სამეგობროს,

ხოლო ქსელის ალგორითმები სთავაზობენ იმ კონტენტს, რომელიც მის გემოვნებას შეესაბამება (ყოველ შემთხვევაში ფეისბუქზე, რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრშია). გაჩნდა მასობრივი თვითკომუნიკაცია (self-communication, Castells, 2009) – არამედირებული თანამონაწილეობა საჯარო სივრცეში, სოციალური ქსელების მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებელთა დისკრეცია სასურველი/სანდო ინფორმაციის და მისი მატარებლების არჩევაში. ინფორმაციის სიჭარბის ახალ გარემოში გამწვავდა ბრძოლა ყურადღების მიპყრობისთვის.

ტექნოლოგიების ამგვარმა განვითარებამ გააჩინა ფრაგმენტირებული მედია ბაზარი, სადაც შესაძლებელი გახდა ნიშური მომხმარებლების მომსახურება, კერძოდ, პოლიტიკურად ერთფეროვანი აუდიტორიის მოზიდვა. თუმცა მედია საშუალებების პლურალიზმი განიცდის პოლარიზებას უფრო ადრეც, ვიდრე სოციალური ქსელები ჩაერთვებოდა საქმეში. პოლიტიკური მოვლენების ინტერპრეტაცია დიდწილად გადავიდა პოლიტიკოსების ხელიდან მედია საშუალებების ხელში. შესაბამისად, მათ დაკარგეს პოლიტიკისგან განზე მდგომი მიუკერძოებელი პლატფორმის სტატუსი. პოლიტიკის პოლარიზებულმა ასახვამ შეიძინა ინტერპრეტაციული ხასიათი, სადაც თითოეული ტელევიზია სთავაზობს მომხმარებლებს საკუთარ „მითოლოგიას“, ხშირად რადიკალურად განსხვავებულს ერთმანეთისგან (Bartlett, 2015).

სოციალური ქსელების გაჩენით კომუნიკაციის სტრუქტურამ კიდევ ერთი თვალნათლივი ტრანსფორმაცია განიცადა. ინფორმაციის პასიური მიმღებებისგან ინდივიდები საჯარო კომუნიკაციის აქტიური მონაწილეები გახდნენ. მეინსტრიმულმა მედიამ დაკარგა მონოპოლია იმაზე, თუ რა მოხვდებოდა საჯარო სივრცეში. ინტერნეტი ზოგადად და ქსელები საკუთრივ გახდა ახალი მედიუმი, რომელმაც დიდწილად სატელევიზიო პროდუქციის მოხმარება შთანთქა.

საჯარო სივრცის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას წინა საუკუნეში ჰაბერმასი აღწერდა როგორც რეფოდალიზაციას, ანუ საჯაროობის კერძო ინტერესებით გაჯერებას, სახელმწიფოს და ეკონომიკის ერთმანეთში ათქვეფას. სამოქალაქო საზოგადოების ავტონომიამ იკლო და მოხდა მისი ჩანაცვლება მასობრივი, სამომხმარებლო საზოგადოებით. ჰაბერმასისთვის ამის მიზეზი იყო ლიბერალური სახელმწიფოს ტრანსფორმაცია სოციალურ სახელმწიფოდ და მედიის კომერციალიზაცია. ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას, ანუ ტელევიზიის წარმოქმნას, ის უფრო გვიან უთმობდა სათანადო ყურადღებადს (Habermas, 1992).

სოციალური ქსელები დიდად არ განსხვავდება ტელევიზიისგან რეფოდალიზაციის ამ ჰაბერმასისეულ დიაგნოსტიკაში. მიუხედავად

იმისა, რომ სამომხმარებლო ქცევას აქ თანამონაწილეობითი და ავტონომიური მოქმედების შესაძლებლობა ემატება, ეს სივრცე კვლავ გააქვნილია ეკონომიკური რეკლამით, კომერციული კლიპებით, პოლიტიკური მანიპულაციით და სტრატეგიულად ორიენტირებული მასალებით. მეტიც, თავად ალგორითმები, რომლებიც მართავენ ინფორმაციულ ნაკადებს, კერძოა, და მომხმარებლისთვის დიდწილად გაუმჭვირვალე, ასე რომ თამამად შეიძლება სოციალურ ქსელებს პრივატიზებული საჯარო სივრცე ეწოდოს.

ამასთან ერთად, გაჩნდა დამატებითი განზომილება, რომლის გასწვრივაც შეიცვალა კერძოსა და საზოგადოებრივის კონსტელაცია. თვითკომუნიკაციის საინფორმაციო სივრცეში, სოციალურ ქსელებში, თავად ინფორმაცია სხვა ფორმით ითავსებს თავის ორმაგ, კერძო და საზოგადოებრივ ბუნებას. ერთმანეთისგან მწილად გასარჩევი ხდება შეხედულება და ცოდნა.

იმისთვის, რომ ინფორმაციამ ცოდნის/ღირებული ინფორმაციის სტატუსი შეიძინოს, მას სჭირდება ლეგიტიმაციის გარკვეული მექანიზმები, კოლექტიური ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ სპეციფიური პროფესიული სტანდარტებით და ანიჭებენ ინფორმაციას იერარქიულად ორგანიზებულ ღირებულებას. ამ მეზო დონის ორგანიზაციებს (დემოკრატიის პირობებში საზოგადოებრივად ავტონომიურს სახელმწიფოსგან) მიეკუთვნება უნივერსიტეტები, სამეცნიერო ჟურნალები, საპატენტო ბიუროები და სხვა. მეინსტრიმული მედია, თავისი კვლევის მეთოდებით, ჟურნალისტური სტანდარტებით და რეპუტაციით ანიჭებს ახალ ამბებს სანდოობას.

შესაბამისად, იმისთვის, რომ ინფორმაციამ სანდოობის სტატუსი შეიძინოს, ინფორმაციული ნაკადი უნდა იყოს ორდონიანი – ინფორმაციის უშუალო გაცვლის პარალელურად უნდა არსებობდეს ამ ინფორმაციის ვერიფიკაციის მეზო დონის ინსტიტუტები. განსხვავებით ამისგან, ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელებში ხდება მყისიერად და უშუალოდ, ვერიფიკაციის გარეშე, თუ არ ჩავთვლით მოდერაციას, რომლის წესებს თავად კერძო ქსელი აწესებს და ახორციელებს. სოციალური ქსელების მომხმარებელი ერთი ერთზეა დარჩენილი ინფორმაციის უსაზღვრო მასივთან, რომლის უტყუარობა მისთვის გაურკვეველია, რაც იწვევს უნდობლობასა და გაუცხოებას. სოციალური ქსელების მომხმარებლებისთვის პოლიტიკური ინფორმაციის სანდოობის პრობლემა დგას უფრო მწვავედ, ვიდრე მათთვის, ვინც სოციალურ ქსელებს არ მოიხმარს (Newman et al.,2022).

სოციალური ქსელები ცვლიან სოციალურ და პოლიტიკურ ეთიკას, ათავისუფლებენ ინდივიდებს და პოლიტიკოსებს გარკვეული დამკვიდრებული ნორმების დაცვის აუცილებლობისგან. განსხვავებით იმ ეპოქისგან, როდესაც საზოგადოების წევრები ურთიერთობდნენ პირისპირ და მოკლე მანძილზე, სოციალური ქსელების კომუნიკაციაში მონაწილეობენ არა ფიზიკური, რეალური არსებები, არამედ მათ მიერ შექმნილი ვირტუალური პერსონები. პერსონა, რომელიც მონაწილეობს კომუნიკაციაში, ხშირად ანონიმურია ან/და კომუნიცირებს უცნობ ადამიანებთან, ვისთანაც არასდროს ექნება ფიზიკური შეხება. ამის გამო ის უფრო თავისუფალია იმაში, რომ არ დაიცვას ზრდილობის ნორმები, მოიტყუოს, იყოს მკვეთრი, უკომპრომისო, რადიკალური, მანიპულაციური. ხილვადობა, პოპულარობა, მოწონება, არის სტიმულები, რომლებიც აქცევს მას ისეთივე რეიტინგზე ორიენტირებულ არსებად, როგორც არის ტელევიზიები. სოციალური ნორმებისგან ემანსიპაციას პოლიტიკაში შემოაქვს ისეთი ნეგატიური ლექსიკა და ემოცია, რომელიც წარმოუდგენელი იყო ტრადიციულ დემოკრატიულ დისკურსში, სადაც პოლიტიკურ კონკურენციასთან და ბრძოლასთან ერთად არსებობდა ოპონენტებთან მოლაპარაკების და გარეგნულად ნორმალიზებული ურთიერთობის საჭიროება. ტროლინგი სოციალურად საეჭვო ქცევიდან პოლიტიკური ქცევის მეინსტრიმად იქცა (Hannan, 2024).

ემპირიული კვლევები წინააღმდეგობრივ დასკვნებს გვთავაზობენ კითხვაზე, აძლიერებენ თუ არა სოციალური ქსელები საზოგადოებრივი აზრის პოლარიზებას. თუმცა უმეტესობა კვლევებისა ამ ვარაუდს ადასტურებენ (Kubina & von Sikorski, 2021). მომხმარებლებს აქვთ ტენდენცია აღიქვან ინფორმაცია შერჩევითად და უპირატესობა მიანიჭონ იმ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც მათსას ემთხვევა. ისინი კავშირს ამყარებენ თავისნაირ ადამიანებთან (ე.წ. ჰომოფილია). ამგვარ ჰომოგენურ ჯგუფებში კომუნიკაცია კიდევ უფრო ამყარებს ჯგუფის წევრების შეხედულებებს, რაც იწვევს რადიკალიზაციას; ჩნდება ფრაგმენტაცია. იქმნება ე.წ. „ექო კამერები“ –ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისგან მეტნაკლებად იზოლირებულია. ფრაგმენტაციას კიდევ უფრო აძლიერებენ სოციალური ქსელების ალგორითმები, თუკი ისინი ინდივიდისთვის საჩვენებლად არჩევენ იმ პოსტებს, რომლებიც მის გემოვნებას შეესაბამება (მაგ. ფეისბუქი ამას აკეთებს). (Sunstein, 2017; Cinelli et al., 2021). იმავდროულად, მომხმარებლები არ არიან იზოლირებულნი საპირისპირო ხედვებისგან და აქვთ შესაძლებლობა შეიცვალონ აზრი ალტერნატიული ინფორმაციის გავლენით. თუმცა, სწორედ უნებური, არასასურველი კომუნიკაცია იმ აზრებთან,

რომლებსაც მომხმარებელი არ ეთანხმება, შესაძლოა გახდეს მისი რადიკალიზაციის მიზეზი, და არა პირიქით (Bail et al., 2018).

როდესაც ინდივიდები უერთდებიან პოლიტიკურად შეფერილ ჯგუფებს, ისინი სწრაფად ერწყმიან ჯგუფის საერთო დისკურსს - იზიარებენ რეალობის საერთო ხედვას, იყენებენ ჯგუფის ლექსიკას და სიმბოლოებს. ამ ლექსიკაზე დაყრდნობით აღწერილი საკუთარი თავი და გარე სამყარო იძენს დისკურსული ჩარჩოს, ფრეიმის ხასიათს, რომელიც იქმნება ამ ერთობის მიერ. ჯგუფის წევრებისთვის ის ინტერპრეტირებს იმას, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი; ლინგვისტური და დისკურსული თამაშები ქნიან ინტერპრეტაციას, რომელიც მათთვის რეალობის სურათის ტოლფასია „... ისტორიები ფასდება არა მტკიცებულებების საერთო სტანდარტებით, არამედ იმის მიხედვით, ადასტურებს თუ არა ისინი ჩვენი ტრაიბის ღირებულებებსა და მიზნებს. თითქმის შეუძლებელი ხდება იმის გარჩევა, თუ რა არის „კარგი ჩვენი მხარისთვის“ და რა არის „ჭეშმარიტი“ (Törnberg & Törnberg, 2024). ამგვარ ეპისტემოლოგიას შეიძლება ვუწოდოთ პარტიკულარისტული, საპირისპიროდ რაციონალური უნივერსალისტური დელიბერაციისგან, რომელსაც ჰაბერმასი ლიბერალური კონსტიტუციური დემოკრატიის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა.

სოციალური ქსელებით მედიატიზირებული პოლიტიკა ხდება უფრო მკვეთრი და რადიკალური. ნეგატიური, სენსაციონალისტური და მყვირალა პოლიტიკური პოსტები უფრო ფართოდ ვრცელდება და უფრო ხილვადია სოციალურ ქსელებში (Klinger et al., 2023). პოლიტიკური პროტესტი ადვილად ღებულობს მასობრივ და მყისიერ ხასიათს, ვინაიდან რეალურ დროში დანახული მოქმედება, რომლებსაც სხვები ახორციელებენ, მეტ გამბედაობას უჩენს სხვებსაც, მიმბაძველობის მექანიზმით. ამგვარი მობილიზება არ მოითხოვს ფორმალურ ორგანიზაციებს ან გამოკვეთილ ლიდერებს. თუმცა მობილიზაციისა და ორგანიზების ამგვარი ფორმა ზღუდავს პროტესტის პერსპექტივას: სოციალური ქსელებით წარმართული პროტესტი, რაგინდ ფართო, ვერ აღწევს პოლიტიკურ წარმატებას სწორედ ამ მიზეზის გამო – ლიდერებისა და მეზო დონის ორგანიზაციების უქონლობის გამო (Margetts et al., 2019).

პოლიტიკური ლიდერების მიმართ ნეგატიური გრძნობები ქსელების მეშვეობით მათ მომხრეებზეც ვრცელდება. მუდმივი ვითარება, როდესაც პოლიტიკურ ინფორმაციას აწყდები, ხარ პოლიტიკით დაინტერესებული თუ არა, გაღიზიანებას იწვევს არაანგაჟირებულ ადამიანებშიც. საპირისპირო პოლიტიკური პარტიების მიმდევრები აღიქმებიან უკვე არა როგორც ოპონენტები, არამედ მათ მიმართ ჩნდება

პიროვნულად ნეგატიური სტიგმები – ისინი არიან სულელები, არაინფორმირებულები ან მიკერძოებულები. პოლიტიკა, გადასული ღრმად საზოგადოებაში, ღებულობს ემოციურ შეფერილობას და ქმნის სოციალურ დაძაბულობას (Settle, 2018). ამგვარ პოლარიზებას ზოგჯერ აფექტურს უწოდებენ, რაც ოდნავ ზედაპირული, მაგრამ სასარგებლო ტერმინია (Iyengar et al., 2019).

პოლარიზება, რომელიც სოციალურ ქსელებში ჩნდება, შეიძლება აღმულ იქნას საზოგადოებისთვის ცალსახად ზიანის მიმტან მოვლენად. . თუმცა მისი არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ამ ქსელებში მიმდინარეობს სტრუქტურირების პროცესები, რაც ბევრად მეტ ძალაუფლებას ანიჭებს საზოგადოებას, ვიდრე უბრალოდ ანომიურ ბრბოდ ყოფნა. ბულინგის, ტროლინგისა და დაცინვის კამპანიებიც კი, რომლებიც ამ ქსელებში ყვავის, და რომლებიც უფრო ბრბოს ქცევას წააგავს, სტრუქტურირების ამ მიზანს ემსახურება. ეს ახალი სტრუქტურირება პარტიკულარისტულია, ემოციური და ასკრიპტული, პარსონსისეულ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ. ამდენად, ის მეტყველებს სოციალური დიფერენციაციის დაბალ დონეზე და „მოდერნულიდან“ უფრო „ტრადიციულისკენ“ გადახრილ საზოგადოებაზე. ხოლო საერთო „მტრის“ წინააღმდეგ მიმართული სულისკვეთებით ის წააგავს ექვივალენციის ფორმირების იმ ვითარებას, რომელსაც აღწერს ლაკლო თავის წიგნში „პოპულიტური გონი“ და რომელიც ქმნის პოპულიზმის სოციალურ საფუძვლებს (Laclau, 2005). ქსელის წევრები, რომლებიც რადიკალური თანასწორობის პირობებში იმყოფებიან, ტრადიციული სოციალური როლური რეპრეზენტაციის ნიველირების ფონზე, აწარმოებენ დამკვიდრებული აღმნიშვნელების რეინტერპრეტაციას იმ უკიდურეს დონემდე, როდესაც ყველაფერი დადის „კარგი“ ადამიანების დაპირისპირებამდე „ცუდ“ ადამიანებთან, პოლიტიკის შმიტისეული გაგების შესაბამისად.

პოლარიზება სოციალურ ქსელებში ქმნის ნიადაგს ახალი პოლიტიკური ლოგიკისთვის, პოპულიზმისთვის, რომელიც, ამ კუთხით დანახული, ხდება არა შემთხვევითი, წარმავალი მოვლენა, არამედ სიღრმისეული ძვრების ინდიკატორი. მას გადააქვს პოლარიზება სოციალური კომუნიკაციის მიკრო დონიდან პოლიტიკური სისტემის მაკრო დონეზე.

პოლარიზებიდან პოპულიზმამდე; ვინ არის „ხალხი“?

თანამედროვე დემოკრატიების ფორმირებას წინ უსწრებდა ტერიტორიული სახელმწიფოს წარმოქმნა, სოციალური კონტრაქტის ფილოსოფია, ერი როგორც წარმოსახვითი ერთობა, დაფუძნებული ერთიან ენობრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო იდენტობებზე. სახელმწიფო, სუვერენული ხალხი და ტერიტორია ინტერპრეტაციის

ერთ სისტემაში მოექცა, ლოკალურად შემოსაზღვრული თავისი ეკონომიკითა და კულტურით. ხოლო იქ, სადაც მათი ერთმანეთთან იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა, გაჩნდა კონფლიქტები, დაძაბულობები და ომები. სახელმწიფო იყო და რჩება მთავარ აქტორად, მთავარ ორგანიზაციად, რომელიც ამ ერთობას არეგულირებს და გამოხატავს. სახელმწიფოს მოქალაქეობა გულისხმობს სახელმწიფო ენის ფლობას, განათლების ერთიან სისტემაში ჩართულობას, სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში სამშობლოს დაცვის/ერთგულების ვალდებულებას და თანაბარ პოლიტიკურ უფლებებს. როგორც უკვე ითქვა, ტექნოლოგიების განვითარებამ და ნეოლიბერალურმა გლობალიზაციამ შეასუსტა და გააბუნდოვნა საზღვრები ქვეყნის ეკონომიკასა და გლობალურ ეკონომიკას შორის; ქვეყნის ხალხის კომუნიკაციურ ერთობასა და გლობალურ ინფორმაციულ სივრცეს შორის. ამას დაემატა მიგრაცია და მიგრანტების მოქალაქეობრივი იდენტობის კოლიზია – ზღვარის გავლება წარმომავლობის ქვეყნის მოქალაქეობასა და იმიგრაციის ქვეყნის მოქალაქეობას შორის, კომუნიკაციურად გადაჯაჭვულ სამყაროში. დამკვიდრებული ტრიადა სუვერენული ხალხი – ტერიტორია – სახელმწიფო ამ ახალ რეალობაში აღარ გამოიყურება ისეთივე მყარად, როგორც ადრე. მიმდინარეობს ამ ტრიადის, როგორც გარდაქმნის ობიექტის, პრობლემატიზება და პოლიტიზირება. ტერიტორიასა და სახელმწიფოს შორის ეპისტემური კავშირი ჯერ კიდევ მყარია, მაგრამ ხალხი, რომელიც ეკონომიკურად, კულტურულად და კომუნიკაციურად გასცდა ფიქსირებული ტერიტორიის საზღვრებს, უკვე საჭიროებს ან რეინტერპრეტაციას, ან ახალი ტიპის მედიაციას მასსა და სახელმწიფოს შორის.

როდესაც მმართველობის ინსტიტუტები ფორმალურად არ იცვლება, მაგრამ სხვანაირად იწყებენ ფუნქციონირებას, ან ნელნელა ექვემდებარებიან ცვლას, ეს პროცესი მოითხოვს მათ კონტექსტუალურ რეინტერპრეტაციას, (გარდაქმნა და დრეიფი, იხ. მაგალითად, Peters, 2019, გვ.91–92). არაფორმალიზებულ სივრცეში მიმდინარე რეინტერპრეტაციის პროცესი ნიშნავს, რომ სიახლე არ ჩნდება უცებ, სიცარიელეში, ის მზადდება ევოლუციურად; რეინტერპრეტაცია ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სოციალური კომუნიკაციური სტრუქტურის შიგნით ძალაუფლებრივი ურთიერთობების, მნიშვნელობებისა და ქცევის ტრანსფორმაცია წარმოადგენს ცვლილებებს მიკრო დონეზე, მაშინ როცა სახელმწიფოს კანონების გარდაქმნა მაკრო პოლიტიკური დონის მოვლენაა. მიკრო პროცესების გავლენა პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური ცვლილებაზე აუცილებლობით მოითხოვს რეინტერპრეტაციას, რომლის ადგილსამყოფელი მეზო დონეა, საჯარო სივრცე. დემოკრატიის რეინტერპრეტაციის

თანამედროვე მექანიზმია პოპულიზმი, რომელიც იწყებს დამკვიდრებული ცნებით, აქცევს მას ცარიელ აღმნიშვნელად და კვლავ აბრუნებს რეალობაში უკვე სახეშეცვლილი მნიშვნელობით. ცარიელი აღმნიშვნელი, რომლითაც ოპერირებს პოპულიზმი, არის „ხალხი“ (Laclau, 2005).

პოპულიზმის გარეშე პოლარიზება, რომლის ზრდაზე საუბრობენ ჰაგარდი და კაუფმანი, ვერ გამოიწვევდა დემოკრატიის უკუსვლას. პოლარიზებაში იგულისხმება სოციოლოგიურად დაკვირვებადი მხარდი განსხვავება მოქალაქეთა და/ან პოლიტიკოსთა პოლიტიკურ შეხედულებებში. თავისთავად, ამგვარი სხვაობა ვერ გახდება ავტორიტარული ტენდენციების წყარო, რომ არა დაპირისპირების ერთი მხარის მიერ მეორე მხარის დელეგიტიმაცია, მისი პოლიტიკური უფლებების სიმბოლური ჩამორთმევა, რასაც პოპულიზმი აკეთებს. პოპულისტური პოლიტიკური სტრატეგია მიმართულია დაპირისპირების გადაყვანაზე პლურალიზმის კატეგორიიდან შეუთავსებლობის მდგომარეობაში, როდესაც ერთ მხარეს ეწოდა ხალხი, ხოლო მეორე, შესაბამისად, რჩება ხალხის კატეგორიაში არშემავალი და, ამდენად, პოლიტიკურად ნაკლული. მხოლოდ ამის მერე შესაძლებელია დემოკრატიის ეროზია არაფორმალური ნორმატიული ველიდან გადავიდეს ფორმალური ინსტიტუტების გარდაქმნაზე, კანონების შეცვლით და არჩევნების ფიქციად ქცევით.

ვინაიდან დემოკრატიის უკუსვლა დემოკრატიის პირობებში მიმდინარეობს, ის, პარადოქსულად, საჭიროებს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას, რომელსაც უზრუნველყოფს პოპულიზმი. პოპულისტურ ძალას, რომლის საწყისია რომელიმე რადიკალური პოლიტიკური უმცირესობა, სჭირდება უმრავლესობის მოპოვება, ვინაიდან ის იბრძვის არჩევნების გზით ძალაუფლების მოსაპოვებლად/ შესანარჩუნებლად. ამიტომ, პოლარიზების ფონზე, ის ცდილობს მოიზიდოს ამომრჩეველთა ის აპოლიტიკური ცენტრი, რომელიც არც ერთ მხარეს არ წარმოადგენს და რომელზედაც, უმეტეს შემთხვევაში, დამოკიდებულია არჩევნების ბედი. როგორც როზენვალონი აღნიშნავდა, პოპულიზმი არის აპოლიტიკურობის წმინდა პოლიტიკა (Rosanvallon, 2008). მისი სტრატეგია მდგომარეობს საპირისპირო ბოლოს მიმართ არა პრეფერენციული (უკეთესი–უარესი), არამედ მორალისტური ინტერპრეტაციის მიყენებაში. „ჩვენ“ (აქეთა მხარე) ვართ ჭეშმარიტი, უბრალო ხალხი, ბურჯი, ის რაზედაც დგას ქვეყანა, ხოლო „ისინი“ არიან კორუმპირებული, მორალურად უცხო, სხვა ქვეყნების ინტერესების გამტარებელი, კრიმინალური ან სხვა – მოკლედ, „ცუდი“ ადამიანები. შესაბამისად, პლურალიზმი, როდესაც პოლიტიკური კონკურენციის ყველა მხარეს აქვს თანაბარი პოლიტიკური უფლებები და ლეგიტიმაცია,

იცვლება პლურალიზმის უარყოფით, ოპონენტების პოლიტიკიდან გარიყვის მცდელობით და აპოლიტიკური ცენტრის დარწმუნებით, რომ პოპულისტი ლიდერი გამოხატავს არა ნაწილის, არამედ მთელი ხალხის ნებას, ცუდი ადამიანების საპირისპიროდ (Müller, 2016).

ეს პოლიტიკური რიტორიკა (და საბოლოოდ პრაქტიკა) ეწინააღმდეგება დემოკრატიის ბაზისურ პრინციპებს. მაშინაც კი, როდესაც დემოკრატია გაგებულია წმინდა მაჟორიტარულ ტერმინებში (უმრავლესობა მართავს), კონსტიტუციური მექანიზმები უზრუნველყოფენ იმას, რომ ეს მმართველობა არ გადაიქცეს ტირანიად, და რომ უმცირესობას ჰქონდეს გავლენის ბერკეტები, მათ შორის უმრავლესობად გადაქცევის გზები. მით უფრო ეს რიტორიკა ეწინააღმდეგება პროპორციული დემოკრატიების ფილოსოფიას, სადაც ბატონობს პრინციპი „მართავს რაც შეიძლება მეტი“. სამაგიეროდ, ის კარგად ესადაგება დემოკრატიის უკუსვლის ევოლუციურ პროცესს, როდესაც თანდათანობით ხდება „ცუდების“ გარიყვა პოლიტიკიდან მანამ, სანამ პოლიტიკური კონკურენცია არ გახდება ფიქცია.

როდესაც დემოკრატია ინტერპრეტირებულია როგორც ელიტების კონკურენცია მმართველობითი თანამდებობების დასაკავებლად, აპოლიტიკური მოსახლეობა ადვილად ეთანხმება იმას, რომ „ცუდები“ არიან მმართველების ვიწრო ჯგუფები, რომლებიც კორუფციულად და კრიმინალურად ითვისებენ ძალაუფლებას საკუთარ ინტერესებში, უბრალო ხალხის ინტერესების უგულვებელყოფით. რეალობა შესაძლოა მართლაც იყოს ამ ხედვის შესაბამისი. მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ სოციალური ქსელების ეფექტი, რომელიც უკვე იყო აღნიშნული: ნეგატიური შეფასება თანდათან გადადის ლიდერებიდან მათ მომხრეებზე; პოლარიზება პოლიტიკურიდან ხდება სოციალური. „ცუდები“ უკვე არიან არა მარტო ლიდერები, არამედ მათი მიმდევრებიც. პოლიტიკური ბრენდები ოპონენტების თვალში ხდება პოლიტიკური სტიგმები, ჩნდება ემოციური წყალგამყოფები, აფექტური პოლარიზება. განსხვავებით ადრინდელი ვითარებისგან, როდესაც მოქმედებდა „დუმილის სპირალი“, უმცირესობაში დარჩენილი მოქალაქეები ჩუმდებოდნენ და ასპარეზს უთმობდნენ უმრავლესობას, სოციალურ ქსელებში ასე არ ხდება. ქსელების ფრაგმენტირებულ სოციუმში უმცირესობა საკუთარ ადგილს ინარჩუნებს და რეგულარულად თვალში ხვდება უმრავლესობას, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს გალიზიანებას და პოლარიზებას.

პოპულიზმის პირობებში თავად სახელმწიფო მოწყობა ხდება პოლიტიკური ბრძოლის საგანი, ხოლო მისი გარდაქმნა – მიზანი. სახელმწიფოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი როგორც დაიცვას

არსებული ვითარება, ასევე გარდაქმნას ის. სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა, სახელმწიფო ენა, კონსტიტუციურად დადგენილი მოქალაქეობა და სხვა მექანიზმები, აქცევენ მიმართებას „სუვერენული ხალხი“ – სახელმწიფო ორნაკადიან ერთობად, სადაც არა მარტო ხალხი მოქმედებს სახელმწიფოზე არჩევნების გზით, არამედ სახელმწიფოც ზემოქმედებს ხალხზე მისი რაობის დადგენით. შემთხვევითი არაა, რომ პოპულისტები, ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ, ირგებენ კონსტიტუციას არა მარტო საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, არამედ ამ საკითხების გარდასაქმნელად. ძალაუფლების მოსაპოვებლად კი, პარტიულ დემოკრატიებში, მათ სჭირდებათ პარტია, რაც პარადოქსულია, ვინაიდან პოპულიზმი არსებითად ანტიპარტიული პოლიტიკური სტილია (Urbinati, 2019).

პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ხალხის სახელით ლაპარაკობს და, შესაბამისად, პლურალიზმს უარყოფს, მის კონკურენტ პარტიებს ლეგიტიმურად ვერ განიხილავს. თავადაც, საკუთარი პარტიის ნაცვლად ის ეყრდნობა პოლიტიკის მედიატიზირებულ ვერსიას, რომელიც ზევით იყო აღწერილი, და რომელიც არ საჭიროებს პარტიებს როგორც მეზო დონის მაკავშირებელ ორგანიზაციებს მოქალაქეებსა და პოლიტიკას შორის. მას არ სჭირდება ორგანიზაცია (პარტია), რათა გახდეს ცნობადი სახე და უშუალოდ ელაპარაკოს საზოგადოებას.

პარტიულ დემოკრატიაში პარტიას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია, მათ შორის მომხრეების მობილიზება, ახალი ლიდერების რეკრუტირება, მათი კარიერული და პროფესიული ზრდა, მათი პოპულარიზება. ყველა ამ ფუნქციაში პარტიას დღეს წარმატებით ანაცვლებენ მისგან დამოუკიდებელი მედია, მეტწილად კომერციული ტელევიზიები და სოციალური ქსელები.

ჯერ კიდევ ტელევიზიის ეპოქაში, პარტიული პოლიტიკური ლიდერობა, რომელიც დღის წესრიგისა და ინტერპრეტაციის ფორმირების ძალაუფლებას საჭიროებს, გახდა უკიდურესად გართულებული. მედიატიზირებულ საჯარო სივრცეში, პოლიტიკოსებისგან დამოუკიდებელი ტელევიზიით, მათ ბევრად მეტი ძალისხმევა სჭირდებოდათ რათა საკუთარი თავი გაყიდვად პროდუქტად ექციათ, და ეს არ ეხებოდა პირველ რიგში პოლიტიკოსის შინაარსს, არამედ მის მედიატიზაციას. ტელევიზია ყიდის სკანდალს, სანახაობას, ადრენალინსა და პერსონალიებს; მეტიც, ის არის მომხმარებლისთვის დღის წესრიგისა და მოვლენების ინტერპრეტაციის მიმწოდებელი სერვისი, რაც არ უნდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი იყოს იგი. პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ ვითარებაში, როდესაც მათსა და მოსახლეობას შორის გაჩნდა ინტერპრეტატორი, რომელსაც ისინი ვერ

აკონტროლებდნენ (დემოკრატიის პირობებში). პარტიები გახდნენ ტელევიზიების კლიენტები – არა ხარ ტელევიზორში ვერ იქნები პოლიტიკაში. ფაქტიურად, ტელევიზიებმა კონკურენცია მოუგეს პარტიებს მრავალი პოლიტიკური ფუნქციის შესრულებაში. პარტიები როგორც ორგანიზაციები გადავიდნენ უკანა პლანზე. მათ დაკარგეს პრესტიჟი და წევრების დიდი ნაწილი, რომლებისთვისაც ისინი აღარ იყო საინტერესო და საჭირო.

დღესდღეობით, ამას ემატება სოციალური ქსელები, რომლებიც სთავაზობენ პოლიტიკურ ლიდერებს ახალ, არაპარტიულ და არასატელევიზიო გამოსავალს წინსვლისთვის. ლიდერს აღარ სჭირდება მედიატორი საზოგადოებასთან საურთიერთობოდ ტელევიზიის სახითაც კი. ამისთვის არსებობს სოციალური ქსელები, სადაც მას შეუძლია უსასრულოდ წეროს რაც მოესურვება, პარტიისა და ჟურნალისტთა კორპუსის კონტროლის გარეშე. პარტიების კოლექტიური პასუხისმგებლობა, გამყარებული შიდა დემოკრატიის მექანიზმებით, იცვლება პიროვნების ჰუმბრისტული მმართველობით.

ტელევიზიისა და სოციალური ქსელების კომბინაცია გზას უხსნის პოლიტიკაში პოლიტიკური გამოცდილების არმქონე ლიდერებს. ასე მაგალითად, ისეთ განსხვავებულ პრეზიდენტებს, როგორებიცაა ტრამპი და ზელენსკი, აერთიანებს ერთი რამ – ისინი გაჩნდნენ ტელევიზორიდან და თავისი ცნობადობით მოიპოვეს პრეზიდენტობა, და არა პარტიებიდან, სადაც პოლიტიკური კაპიტალს დააგროვებდნენ. ტვიტერი, ფეისბუქი და სხვა სოციალური ქსელები მყისიერი კონტაქტია მათსა და მოსახლეობას შორის.

პარტიები არაა ერთადერთი მეზო დონის ორგანიზაცია, რომელიც დასუსტდა მედიატიზაციის შედეგად. დასუსტება შეეხო სამოქალაქო საზოგადოების ყველა ტერიტორიულად მიბმულ, წევრობაზე და უშუალო კომუნიკაციაზე დამყარებულ ორგანიზაციას (Skocpol, 2004). მათი ადგილი დაიკავეს ინტერნეტ რესურსებმა, გვერდებმა, ჯგუფებმა, კამპანიებმა და, ზოგადად, ვირტუალურმა ერთობებმა, მოქმედმა საერთო მიზნებისა და სწრაფვების მისაღწევად. ამ ერთობების წევრები, როგორც წესი, არ იცნობენ ერთმანეთს და არ ურთიერთობენ პირისპირ. ყველაზე ხშირი კოლექტიური ქმედება ამ პირობებში არის ქუჩის პროტესტი – სპონტანური და არარეგულარული პოლიტიკური ჩართულობის ფორმა.

პოპულიზმის მახასიათებლებისგან, რომლებიც მის მრავალრიცხოვან სახეობებს ქმნიან, ჩვენ გამოვყავით მხოლოდ რამდენიმე ბაზისური: ანტიპლურალიზმი, ანტიპარტიულობა, „ხალხის“ კონსტრუირება „არა-ხალხის“ საპირისპიროდ. დაყვანილი მახასიათებლების ამ მინიმალურ ნაკრებზე, პოპულიზმი თავისუფალია მიბმისგან რომელიმე

პოლიტიკურ იდეოლოგიასთან; ის შეიძლება იყოს როგორც ულტრამემარჯვენე ანტი-ლიბერალური, ასევე ლიბერალური და სხვა. მიუხედავად ამისა, ის არაა დაცლილი შინაარსისგან და არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ სტილს. მაკლუენისეული მიგნება, რომ მედიუმი არის მესიჯი, ხსნის ამ დიქოტომიას ფორმასა და შინაარსს შორის. პოპულიზმი არის მედიუმი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. ამდენად, ის ასევე მესიჯია – რომელიც განსხვავებულად აკავშირებს ერთს მეორესთან და ამით ცვლის დემოკრატიის დღის წესრიგს. პოლიტიკის მთავარ კითხვაზე – თუ რა არის „პოლიტიკური“, ის პასუხობს ცალსახად: „ხალხის“ დაცვა მტრებისგან მისთვის ძალაუფლების მინიჭებით. ტრადიციული პოლიტიკური იდეოლოგიები, როგორებიცაა ლიბერალიზმი ან კონსერვატიზმი, ამ დღის წესრიგში მეორე რიგის ატრიბუციის როლს თამაშობენ (Attribute agenda-setting, McCombs, 2014). როგორც ერთს, ასევე მეორეს შეუძლია მიიღოს პოპულიზმის ფორმა და მონაწილეობდეს ხალხის ცნების ინტერპრეტაციაში.

დემოკრატიის გლობალური უკუსვლა, ამდენად, თავად დემოკრატიის რაობის რეინტერპრეტაციას ეყრდნობა, სახეშეცვლილ პასუხს კითხვაზე თუ „ვინ მართავს“. თუკი ტოკვილისეულ დემოკრატიაში მართავდა უმრავლესობა, რომელიც გამოხატავდა საერთო ნებას არა მარტო არჩევნებით, არამედ საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით, შუმპეტერისეულ დემოკრატიაში მართავდნენ ელიტები, უმრავლესობის მოწონებისა და მათი მხარდაჭერის მოპოვებით, პოპულისტურ დემოკრატიაში მართავს ხალხი, რომელსაც აქვს ლეგიტიმური უფლება შიდა მტრების დაქვემდებარებაზე. ეს კი ცვლის სახელმწიფოსა და ხალხის ურთიერთმიმართებას, პირველ რიგში იწვევს კონსტიტუციისა და სამართლის უზენაესობის დასუსტებას. დასუსტებასა და ეროზიას განიცდის არა დემოკრატია, არამედ მისი ლიბერალური კონსტიტუციური კომპონენტი, რომელიც ველარ ესადაგება დემოკრატიის ამ განსხვავებულ გაგებას.

დემოკრატიის მომავალი

ინფორმაციულმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა საზოგადოებების სოციოეკონომიკური და კომუნიკაციური სტრუქტურა, და ეს ცვლილებები გრძელდება. მიმდინარე ინოვაციები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გააზრებული თავისი შესაძლო გავლენებითა და შედეგებით, მათ შორის დემოკრატიაზე. ემპირიული და თეორიული კვლევები კვალდაკვალ

მიყვება ახალ რეალობებს და გვაძლევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ იმაზე, რაც უკვე სახეზეა.

ცვლილებები, რომლებიც ამ რევოლუციის შედეგად განიცადა საჯარო პოლიტიკურმა კომუნიკაციამ, დიდწილად სოციალურ ქსელებში, თვალნათლივია. ინტერნეტი და სოციალური ქსელები სიტყვის თავისუფლებისა და სამოქალაქო მობილიზების ბოლო ბასტიონია მაშინ, როდესაც ხელისუფლება მეინსტრიმულ მედიას აკონტროლებს. იმავდროულად, პარადოქსულად, ისინი ასუსტებენ პარტიული დემოკრატიის არსებულ ინსტიტუტებს. ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერი დღეს ერთი „კლიკის“ მანძილზეა რიგითი მოქალაქისგან. პოლიტიკური ახალი ამბები, კომენტარები, მოწოდებები და შეფასებები დაუბრკოლებლად მოძრაობს სოციალური ქსელების მომხმარებლიდან მომხმარებლისკენ, რათა მათი მოწონება ან, პირიქით, გულისწყრომა გამოიწვიონ. სწორი აზრის ჩამოსაყალიბებლად დებატებში და რთულ დისკუსიებში შესვლის სანაცვლოდ ინდივიდები ერთიანდებიან თავის თანამოაზრეებთან და ერთობლივად გამოხატავენ მათ, ვინც სხვა პოზიციას იზიარებს. ახალი სოციალური სტრუქტურა ოდნავ ტრაიბალურ, პარტიკულარისტულ და აფექტურ ხასიათს ატარებს, რაც ზრდის პოლარიზებას და პოპულისტურ მიდრეკილებას ოპონენტების მორალური „ჩაქოლვისკენ“.

ტექნოლოგიურად ახალი და ეკონომიკურად პრივატიზებული მედიატიზირებული კომუნიკაცია, რომელიც არაა შემოსაზღვრული მონაწილეებში და ტერიტორიებში, აყალიბებს ფრაგმენტირებულ და თანასწორუფლებიან საჯარო აზრებს, რომლებიც ეპისტემურად მკვეთრად განსხვავდებიან რეალობის ინტერპრეტირებაში და, ამდენად, არ არიან თავსებადი ერთიან რაციონალურ დისკურსში. ეს სივრცე არაა ავტონომიური და დაცული პოლიტიკასთან შეზღუდისგან, მაგრამ არც პოლიტიკაა დაცული მისგან. ამგვარი სივრცე ვერ ასრულებს კრიტიკული პოლიტიკური რეფლექსიის ფუნქციას და მასში ვეღარ ყალიბდება რაციონალური საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც სიმართლის და ობიექტურობის პრეტენზია ექნება.

იმავდროულად, ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გააჩინა კონფლიქტი დემოკრატიასა და სახელმწიფოს შორის.. თუკი ადრე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ერთობები მეტნაკლებად ერთიან სახელმწიფოში მოიაზრებოდა, ახლა მათი მიზმა ერთმანეთთან მნიშვნელოვნად შესუსტდა. დემოკრატია, რომელიც „ხალხს“ ანიჭებდა მოცემულ ტერიტორიაზე მმართველობის უფლებას, დადგა გამოწვევის წინაშე – ვინ არის

„ხალხი“ და რა უფლებები აქვს სახელმწიფოს მასთან მიმართებაში?

ყოველივე ამის ფონზე „დემოკრატიის“ ინტერპრეტაცია მორიგ ცვლილებას განიცდის. მისი ლეგიტიმაცია ვეღარ ეყრდნობა ვერც უმრავლესობის მმართველობის პრინციპს, ვინაიდან ახალ დაქსაქსულ საჯარო სივრცეში ვეღარ ყალიბდება დომინანტური საზოგადოებრივი აზრი, ვეღარც ელიტების კონკურენტულ ბრძოლას თანამდებობისთვის, ვინაიდან „ელიტა“ ვეღარ რეპრეზენტირებს „ხალხს“; ელიტებისა და „ხალხის“ ეკონომიკური ინტერესები კიდევ უფრო ასცდა ერთმანეთს ტექნოლოგიური გარდაქმნებისა და გლობალიზაციის შედეგად. დემოკრატიის როგორც ერთი, ასევე მეორე ინტერპრეტაცია ვეღარ შეესაბამება იმ რეალობას, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის ტექნოლოგიურმა და სოციოეკონომიკურმა მოწყობამ მოიტანა. მათ დღესდღეობით ანაცვლებს პოპულისტური ხალხოსნობა, რომელსაც ჯერჯერობის არა აქვს სხვა, ნაკლებად რადიკალური ალტერნატივა.

ტექნოლოგიური გარდაქმნების, ანუ შეუქცევადი ცვლილებების ჭრილში დანახული, დემოკრატიის მომავალი სათუთა, რაც რადიკალური გადაწყვეტილებების საჭიროებას აყენებს. არჩევნების გზით ძალაუფლების მოპოვება აღარ გამოიყურება დემოკრატიის გზაზე დაბრუნების პანაცეად, მყუდრო სტაბილურობის შენარჩუნებად.

დაქსაქსულ საზოგადოებაში არჩევნები აჩვენებს მხოლოდ იმას, თუ რომელი მხარეა უფრო მრავალრიცხოვანი. თუკი უმრავლესობა ვეღარ ფლობს ნორმატიულ პრეტენზიას ერთიანი საზოგადოებრივი აზრის გამოხატვაზე, არჩევნები დაიყვანება ძალის დემონსტრირებაზე. არადემოკრატიულ ვითარებაში, სადაც არჩევნებში გამარჯვება გამყარებულია სახელმწიფოს და ეკონომიკური რესურსებითაც, ძალა შესაძლოა უმცირესობის მხარეს იყოს, ხოლო არჩევნები წარმატებით ემსახურებოდეს ავტორიტარიზმს, და არა დემოკრატიას.

თუმცა, დემოკრატიის უკუსვლა ამ ფონზე არც ავტორიტარიზმის გამარჯვებად გამოიყურება (თუნდაც, დროებითად), ის უფრო ნიშნავს დემოკრატიის გარდაქმნის ეტაპს, განახლებული ინსტიტუციური მოწყობის შესაძლებლობით, სიდრმისეული ძვრების ევოლუციურ ეტაპად, როდესაც ფორმალური ინსტიტუტები განიცდიან დასუსტებას და რეინტერპრეტაციას მანამ, სანამ საქმე მივა კრიტიკულ გზაგასაყარამდე, ხოლო ნელი ეროზია სწრაფი და რადიკალური გარდაქმნებით ჩანაცვლდება. ეს უკუსვლა სულაც არ ნიშნავს ავტორიტარიზმის განმტკიცებას დემოკრატიის საპირისპიროდ; სოციალური ქსელების ეპოქაში

ავტორიტარიზმიც არანაკლებ გამოწვევებს განიცდის. სავარაუდოდ, როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტარული მმართველობის მეთოდები ახალ გზებს იპოვიან ოცდამეერთე საუკუნისადმი ადაპტირებისთვის.

ევოლუციური ცვლილებების პერიოდები, როდესაც მიმდინარეობს არსებული ნორმების რეინტერპრეტაცია, იცვლება ხოლმე სწრაფი (ისტორიულ ჭრილში) ინსტიტუციური ცვლილებების მომენტებით, კრიტიკული გზაჯვარედინებით, როდესაც არაფორმალურ სფეროში დაგროვილი დამაბულობები და დაპირისპირებები გადადის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ველში და განვითარებას ახალი, წინასწარ გაურკვეველი, მიმართულებით წარმართავს.

დღევანდელი ამგვარ გზაჯვარედინთან ახლოს გამოიყურება. პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა ფართო გაგებით უნდა მიიღონ ახალი ფორმები, ახალი წესები, რათა შექმნილი წინააღმდეგობები გადალახონ .

Marina Muskhelishvili

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Since the 2000s, in a number of countries a process of democratic erosion has been observed, which in some cases even culminates in the collapse of democracy. This process of erosion is characterized by the following evolutionary dynamics: the exacerbation of political polarization; the extension of a ruler's control over their own political party and branches of government; and legislative changes that weaken (and in some cases destroy) the legal and constitutional foundations of liberal democracy.

Such evolutionary trends of institutional transformation are often brought about by the reinterpretation of formal institutions, a gradual change in their meaning and practice over time. The erosion of democracy is accompanied by its reinterpretation through populism. In a context of high political polarization, populism constructs the concept of "the people" from one polarized citizenry, in opposition to the other. According to the populist version of democracy, this constructed "people" might rule by excluding its enemies from politics. This interpretation of democracy replaces both its majoritarian and elitist versions and poses a challenge to the constitutional and liberal foundations of the state.

This paper argues that the reason for the populist reinterpretation of democracy should be sought in the technological revolution which is changing not only the economy but also the fundamental structure of political communication. The article focuses on a structural innovation created by new technologies—the mediatization of political communication through social networks. The subject of the research is the invisible power relations that arise from the organization of communication, and not from its content.

In a public space mediatized by television and social networks, the structure of public opinion necessary for the proper functioning of the majoritarian and elitist versions of democracy can no longer be sustained. The fragmented, particularistic, affective, and polarized structure of public opinion presented on social networks promotes the equality of radically different interpretations of reality, which weakens the majority's claim to express the "right" opinion. Meso-level organizations that structured political and civic representation lose their functions, as the political sphere directly enters the space of social communication. The correspondence of the state to a given society becomes blurred, both because the economy and migration take on a globalized character, and because the public spaces of different countries are now integrated by the internet.

All of this would be impossible without the technological revolution, which is changing every sphere of life. In an economy based on knowledge and information, a new structure of economic, social, and political relations is being created. Just as the industrial revolution once shook feudalism and contributed to the formation of capitalism and parliamentary government, the information revolution today is challenging the party democracy built on the 20th-century model, and even the territorial constitutional state itself.

An analysis of the factors causing democratic backlash is essential to understanding the possible future of these processes. If the technological revolution dominates among such factors, what is needed is not the strengthening of existing formal institutions of democracy, but their innovative transformation.

ბიბლიოგრაფია

Applebaum, A. (2024). *Autocracy, Inc.: The dictators who want to run the world*. Doubleday.

Bail, C. A., Argyle, L. P., Brown, T. W., Bumpus, J. P., Chen, H., Hunzaker, M. B. F., Lee, J., Mann, M., Merhout, F., & Volfovsky, A. (2018). Exposure to opposing views on social media can increase political polarization. *PNAS*, *115*(37), 9216–9221. <https://doi.org/10.1073/pnas.1804840115>

Bartlett, B. (2015). *How Fox News changed American media and political dynamics*. SSRN Electronic Journal.

Burawoy, M. (2020). From Polanyi to Pollyanna: The false optimism of global labor studies. *Global Labour Journal*, *11*(3), 301–31.

Burawoy, M. (2021). Going public with Polanyi in the era of Trump. In M. Burawoy & P. G. Cohen (Eds.), *The Routledge International Handbook of Public Sociology* (1st ed., pp. 11-22). Routledge.

Castells, M. (2009). *Communication power*. Oxford University Press.

Castells, M. (2024). *Advanced introduction to digital society*. Edward Elgar Publishing Limited.

Cinelli, M., De Francisci Morales, G., Galeazzi, A., Quattrocioni, W., & Starnini, M. (2021). The echo chamber effect on social media. *PNAS*, *118*(9), e2023301118. <https://doi.org/10.1073/pnas.2023301118>

Dalton, R. J. (2004). *Democratic challenges democratic choices. The erosion of political support in advanced industrial democracies*. Oxford University Press.

Habermas, J. (1991). *The structural transformation of the public sphere: An inquiry into a category of bourgeois society*. The MIT Press.

Habermas, J. (1992). Further reflections on the public sphere. In C. Calhoun (Ed.), *Habermas and the public sphere* (pp. 421-461). The MIT Press.

Haggard, S., & Kaufman, R. (2021). *Backsliding: Democratic regress in the contemporary world*. Cambridge University Press.

Hannan, J. (2024). *Trolling ourselves to death: Democracy in the age of social media*. Oxford University Press.

Hooghe, L., & Marks, G. (2025). How does the education cleavage stack up against the classic cleavages of the past? *West European Politics*. Advance online publication. <https://doi.org/10.1080/01402382.2025.2452789>

Huntington, S. P. (1991). *The third wave: Democratization in the late twentieth century*. University of Oklahoma Press.

Iyengar, S., Lelkes, Y., Levendusky, M., Malhotra, N., & Westwood, S. J. (2019). The origins and consequences of affective polarization in the United States. *Annual Review of Political Science*, 22(1), 129–146 . <https://doi.org/10.1146/annurev-polisci-051117-073034>

Keane, J. (2013). *Democracy and media decadence*. Cambridge University Press.

Klinger, U., Koc-Michalska, K., & Russmann, U. (2023). Are campaigns getting uglier, and who is to blame? Negativity, dramatization and populism on Facebook in the 2014 and 2019 EP Election Campaigns. *Political Communication*, 40(3), 263–282. <https://doi.org/10.1080/10584609.2022.2133198>

Kubina, E., & von Sikorski, C. (2021). The role of (social) media in political polarization: A systematic review. *Annals of the International Communication Association*, 45(3), 188–206. <https://doi.org/10.1080/23808985.2021.1976070>

Laclau, E. (2005). *On populist reason*. Verso.

Margetts, H., Hale, S., & John, P. (2019). Political turbulence: How social media shapes political participation and the democratic landscape. In M. Graham & W. H. Dutton (Eds.), *Society and the Internet: How networks of information and communication are changing our lives* (2nd ed., pp. 111-125). Oxford University Press.

- McCarty, N. (2019). *Polarization: What everyone needs to know*. Oxford University Press.
- McCombs, M. (2014). *Setting the agenda. The mass media and public opinion*. Polity Press.
- McLuhan, M. (1964). *Understanding media: The extension of man*. McGraw-Hill.
- Müller, J.-W. (2016). *What is populism?* University of Pennsylvania Press.
- Newman, N., Fletcher, R., Robertson, C. T., Eddy, K., & Nielsen, R. K. (2022). *Digital News Report 2022*. Reuters Institute for the Study of Journalism. <https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/digital-news-report/2022>
- Noelle-Neumann, E. (1984). *The spiral of silence: Public opinion - Our social skin*. University of Chicago Press. (Original work published 1980).
- Peters, B. G. (2019). *Institutional theory in political science: The new institutionalism*. Edward Elgar Publishing Limited.
- Polanyi, K. (2001). *The great transformation: The political and economic origins of our time*. Beacon Press.
- Przeworski, A. (2024). Who decides what is democratic? *Journal of Democracy*, 35(3), 5–16.
- Rosanvallon, P. (2008). *Counter-democracy. Politics in an age of distrust*. Cambridge University Press.
- Schumpeter, J. (2003). *Capitalism, socialism and democracy*. Routledge. (Original work published 1942)
- Skocpol, T. (2004). United States: From Membership to Advocacy. In: Putnam, Robert D. (Ed.), *Democracies in Flux: The Evolution of Social Capital in Contemporary Society*. Oxford University Press.
- Settle, J. E. (2018). *Frenemies: How social media polarizes America*. Cambridge University Press.

Sunstein, C. R. (2017). *#Republic: Divided democracy in the age of social media*. Princeton University Press.

Tocqueville, A. (2000). *Democracy in America* (H. C. Mansfield & D. Winthrop, Eds. & Trans.). University of Chicago Press. (Original work published 1835-1840)

Törnberg, A., & Törnberg, P. (2024). *Intimate communities of hate: Why social media fuels far-right extremism*. Routledge.

Urbinati, N. (2019). Antiestablishment and the substitution of the whole with one of its parts. In C. de la Torre (Ed.), *Routledge Handbook of Global Populism* (pp. 55-68). Routledge.

V-Dem Institute. (2025). *Democracy Report 2025: 25 years of autocratization – Democracy trumped?* <https://www.v-dem.net/publications/democracy-reports/>

Van Ham, C., Thomassen, J., Aarts, K., & Andeweg, R. (Eds.). (2017). *Myth and reality of the legitimacy crisis: Explaining trends and cross-national differences in established democracies*. Oxford University Press.

Varoufakis, Y. (2024). *Technofeudalism: What killed capitalism?* Melville House.

Waisbord, S. (2019). Populism as media and communication phenomenon. In C. de la Torre (Ed.), *Routledge Handbook of Global Populism* (pp. 31-45). Routledge.

Weyland, K. (2024). Why democracy survives populism. *Journal of Democracy*, 35(1), 43-58.